საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07

ქ. ბათუმი **13 ივლისი, 2018წ.**

ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოში წარმოდგენილი პუბლიკაციის გარე (ფარული) რეცენზენტის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N112 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოში წარმოდგენილი პუბლიკაციის გარე (ფარული) რეცენზენტის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 400 ლარის ოდენობით.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, რეცენზირების შესრულების შესახებ რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გამოსცეს სამართლებრივი აქტი რეცენზენტის შრომის ანაზღაურების გაცემის თაობაზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს გამომცემლობას, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ. ბარათაშვილი**